მოგესალმებით ქალბატონო ნაზიბროლა,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ - საქართველოს კანონის მე-40-ე მუხლის თანახმად თქვენს მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

- **საანგარიშო წლების მიხედვით მიუთითეთ, დასაქმებულთა შორის რამდენია სტუდენტი და რამდენი - შშმ პირი;**

სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა ამ დროისთვის არ იძლევა საშუალებას ავღრიცხოთ სააგენტოს საშუამავლო საქმიანობის შედეგად რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და სტუდენტი არის დასაქმებული.
დამატებით გაცნობებთ, რომ სააგენტო 2016 წლიდან შშმ პირთა დასაქმების მხარდასაჭერად აქტიურად თანამშრომლობს განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან, ერთობლივი პროექტის “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ადვოკატირება და ლობირება“, ეფექტურად განხორციელების მიზნით.
სააგენტოსა და ცენტრს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რეგიონში პირველად ჩატარდა შშმ პირთა დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილე 17 დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ იქნა 42 ვაკანსია. ვაკანსიების მოთხოვნების შესაბამისად ბაზაში დარეგისტრირებული 82 ბენეფიციარიდან შეირჩა 47, რომელთაგან 11 დასაქმდა.
2016 წლის განმავლობაში ანაზღაურებად სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 6 შშმ პირი, რომელთაგან 5 შემდგომ დასაქმდა; არაფორმალური, ფორმალური და პროფესიული პროგრამებით ისარგებლა 10 ბენეფიციარმა, ამასთანავე კარიერული გადამზადების კურსი გაიარა 28 შშმ პირმა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების და დასაქმების ადვოკატირებისა და ლობირების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოს მიერ გამართულ იქნა 3 შეხვედრა, ხოლო მათი განათლების, განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა შესახებ ინფორმირებულობის მიზნით, გაიმართა შეხვედრები მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გაიმართა სტიგმასა და სამუშაო ეთიკასთან დაკავშირებული ტრენინგები, რომელსაც დაესწრო 27 დამსაქმებელი.

2017 წელს შშმ პირთა დასაქმების მხარდასაჭერად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2017 წლის მაისში გაიმართა შშმ პირთა დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილე 21 დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ იქნა 52 ვაკანსია. ფორუმის შედეგად დასაქმდა 6 ბენეფიციარი.

2017 წლის 5 თვის განმავლობაში ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 4 შშმ პირი, არაფორმალური, ფორმალური და პროფესიული პროგრამებით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა. სულ პროექტის ფარგლებში დასაქმდა 35 შშმ პირი.

- **შრომის მაძიებელთა და დამსაქმებელს შორის შუამდგომლობისას ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თუ არა შრომითი უფლებები და შემდგომში ადევნებთ თუ არა თვალყურს თქვენ მიერ დასაქმებულისა და დამქირავებლის ურთიერთობას (თუ სააგენტოსა და შრომის მაძიებელს შორის ფორმდება ხელშეკრულება, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ამ ხელშეკრულების ფორმა);**

სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, მათ შორის მხარეთა უფლება-მოვალეობები და ანგარიშსწორების პირობები არის კონფიდენციალური ინფორმაცია და შესაბამისად სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი არ არის.

- **ძირითადად რომელ პოზიციებზე დასაქმება ხერხდება უმეტესად, რომელ ხელობა-პროფესიებზეა მეტი მოთხოვნა და რომელი ორგანიზაციები თანამშრომლობენ სააგენტოსთან ყველაზე ხშირად;**

სააგენტოსთან აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი ორგანიზაციები, დღეის მონაცემებით ბაზაში რეგისტრირებულია 2359 ორგანიზაცია (პოტენციური დამსაქმებელი), ხოლო დასაქმება ძირითადად ხდება სტუმარ-მასპინძლობის სფეროში (სასტუმრო-სარესტორნო საქმის მიმართულებით).

- **დასაქმებულთა შორის არიან თუ არა ისინი, ვინც ავტონომიის ან ქვეყნის გარეთ თქვენი შუამდგომლობით დასაქმდნენ;**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერი ტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია და აღრიცხვა, შესაბამისად ჩვენი შუამავლობით ბაზაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი პირების დასაქმება ხდება მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე.

ამავე პუნქტის $გ^2$ ქვეპუნქტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის მიზნით სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებასა და ინფორმირებულობა/ხელშეწყობას ითვალისწინებს, ამ მიზნით სააგენტო რამდენიმე წელია თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამუშაო ძალის ლეგალური შრომითი მიგრაციის უზრუნველყოფაა. კონკრეტული სამუშაო ადგილების მიუხედავად უცხოეთში დასაქმების მსურველი პირების მომართვიანობა ძალიან დაბალია.

- **თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სააგენტოს შუამდგომლობით დასაქმებულ ადამიანს უარი ეთქვა დაკავებულ სამუშაოზე და თუ ასეთი შემთხვევა იყო, რამდენმა და რა მიზეზით თქვა უარი;**

დიახ, ყოფილა ცალკეული შემთხვევები, მაგრამ რამდენმა პირმა და რა მიზეზით თქვა უარი დაკავებულ თანამდებობაზე-ამის აღრიცხვა სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ ხდება, დებულებით განსაზღვრული ფუქციების და უფლებამოსილებების შესაბამისად.

დამატებით ინფორმაციას (სტატისტიკურ მონაცემებს და დაზუსტებულ ბიუჯეტს წლების მიხედვით) გიგზავნით ელექტრონული ფორმით ცხრილების სახით.

პატივისცემით,
სსიპ აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი
პირი
ელზა გოგიტიძე